ოქმი № 20

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი #20

ქ. ცაგერი 29 დეკემბერი, 2025 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მარიკა კოპალიანი, ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: გიორგი გუგავა, ზაზა ყურაშვილი, ელენე საღინაძე, ნოდარი საღინაძე,
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე: დავით მუშკუდიანი;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები: გივი გოგებაშვილი, ნატო ბურჯალიანი, ვიქტორ ცხვედიანი, მამუკა მამარდაშვილი, მამუკა ჩიქოვანი, ოთარი თვარაძე, ბესიკი ჩანქსელიანი.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარე: ლაშა ლეთოდიანი;
ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, ჯონი ხალიანი, გორდა გვიშიანი, მარი ბურჯალიანი, თინათინი ნემსწვერიძე, თამაზ თვარაძე, ხვიჩა ჩხეტიანი, ბერდია კვირიკაშვილი, გოგიტა ახვლედიანი, კახა ყურაშვილი, გოდერძი ახვლედიანი, გიორგი გოლეთიანი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი: ჭაბუკი ჭაბუკიანი

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: ქეთევან კოპალიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გიორგი ხმელიძე
მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი: გიორგი კვირიკაშვილი
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი: სოფიო გვიშიანი
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე: მირზა ქომეთიანი

საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნათია სილაგაძე

დადგენილებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპლიანი/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპლიანი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, დ. ჩაკვეტაძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, დ. ჩაკვეტაძე/

5. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი/

6. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი/

7. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი/

8. „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის № 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ქომეთიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ქომეთიანი/

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

4. ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის საფასურის გადასახადისაგან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ შექმნის ცნობად მიღების შესახებ.

/ვ. საღინაძე, ე. საღინაძე/

6. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე მდებარე ერთი ოთახის - საერთო ფართი 30.00 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით - უსასყიდლო ,,უზუფრუქტი“ ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ,,შშმ პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრისთვის'' (ს/ნ 44495993) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

7. ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ ,,ხვამლის'' გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. კვირიკაშვილი/

8. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი, ჭ. ჭაბუკიანი, მ. ქომეთიანი/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დადგენილებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპლიანი/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპლიანი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, დ. ჩაკვეტაძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, დ. ჩაკვეტაძე/

5. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი/

6. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი/

7. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი/

8. „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის № 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ქომეთიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ქომეთიანი/

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

4. ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის საფასურის გადასახადისაგან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ შექმნის ცნობად მიღების შესახებ.

/ვ. საღინაძე, ე. საღინაძე/

6. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე მდებარე ერთი ოთახის - საერთო ფართი 30.00 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით - უსასყიდლო ,,უზუფრუქტი“ ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ,,შშმ პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრისთვის'' (ს/ნ 44495993) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

7. ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ ,,ხვამლის'' გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. კვირიკაშვილი/

8. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი, ჭ. ჭაბუკიანი, მ. ქომეთიანი/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან კოპალიანმა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი - ჭაბუკი ჭაბუკიანი და მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი - მამუკა ლეთოდიანი. დეტალურად განმარტეს მომავალი წლის ბიუჯეტი და უპასუხეს საკრებულოს წევრების შეკითხვებს. როგორც მათ აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის მერის მიერ „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი“ და პრიორიტეტების დოკუმენტი თანდართულ მასალებთან ერთად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს წარედგინა მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 91-ე და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერთან, მერის პირველ მოადგილესთან, მერის მოადგილესთან და მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად განიხილა საკრებულოს შენიშვნები მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. შენიშვნები წარმოდგენილია დასკვნების სახით. (კერძოდ, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; ჯანდაცვის და სოციალური საკითხთა კომისია.)

საკრებულოს მიერ წარმოდგენილი შენიშვნები ეხება ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილს ანუ 2026 წლის გასაწევი ხარჯების მიმართულებებს, სადაც წარმოდგენილია წინადადებები სოციალური და საერთო დანიშნულების დაფინანსების გაზრდის თაობაზე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2025 წლის 21 ნოემბრის სხდომის დასკვნის შესაბამისად „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის“ განხილვის შედეგად, კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას შემდეგი სახის შენიშვნები, კერძოდ, საკრებულოს გადასახდელებში მუხლებსა და კოდებს შორის არსებული ეკონომიკის გადანაწილების შესახებ და ასევე გაიზარდოს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა ხარჯები, კერძოდ, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ფუნქციონირებისათის საჭირო თანხები.

აღვნიშნავთ, რომ შენიშვნები არ არის მითითებული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ. კერძოდ, დაგეგმილი მოცულობებისა და მათი შესაძლო გაზრდის შესახებ. ზემოთ აღნიშნულს იმიტომ მოგახსენებთ, რომ მერიას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბიუჯეტის პროექტი განხილულ იქნას შემოსულობების, გასაწევი ხარჯების და ნაშთის ცვლილების ერთობლიობის კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში ცალკეული მიმართულებებით აქტივობები და ახალი ინიციატივები ფინანსური წინასწარი მოძიების გარეშე განუხორციელებელი რჩება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ შენიშვნებთან დაკავშირებით დამატებით შეისწავლა მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ყველა სახეობის პროგნოზი, ამასთან ერთად შეიმუშავა პრიორიტეტების მიხედვით სხვადასხვა პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა. მუნიციპალიტეტის მერიამ იხელმძღვანელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 1 დეკემბრის N 04-03/84818 წერილობითი მიმართვით.

წარმოდგენილი ინფორმაციით. კერძოდ, საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საფუძველზე სამინისტრომ მუნიციპალიტეტს აცნობა, რომ 2026 წელს პროგნოზირებადი დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიიმართა 12460,2 ათ. ლარი, ხოლო ქონების გადახადიდან მუნიციპალიტეტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაღვრა 1150,0 ათ.ლარი. ე.ი. საგადასახადო შემოსავლების 2026 წლისათის განისაზღვრა 13610,2 ათ. ლარით, რომელიც წარმოდგენილ პროექტს 91,2 ათ.ლარით აღემატება.

მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნულის გათვალისწინებით მოამზადა მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი, წარმოდგენილი ვარიანტით ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 17361,5 ათ.ლარის მოცულობით, განმარტებით ბარათს თან ახლავს შემოსულობების და გადასახდელების შესწორებული ვარიანტი. მოგახსენებთ გაზრდილი ფინანსური რესურების გადანაწილების მიმართულებებს:

პრიორიტეტი „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ გაზრდილია 50,0 ათ.ლარით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სოციალური პროგრამები. მომზადებულია პროექტი ზამთრის თბობის სეზონისათვის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების გაწევის თაობაზე და შშმ პირების მატერიალური დახმარება. ასევე ბიუჯეტის დამტკიცების დროს საჭიროების შესაბამისად სოფ.ლასურიაშის შშმ პირთა ცენტრისთვის(საკვირაო სკოლა) გამოყოფილი თანხა დაფიქსირდება სუბსიდიის სახით. მერიამ მოამზადა 2026 წლისათვის სოციალურ პროგრამათა პაკეტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა საკრებულოს. ამდენად საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის შენიშვნები გათვალისწინებულია.

მუნიციპალიტეტის მერიამ 2026 წლის ბიუჯეტის შესწორებულ ვარიანტში გაითვალისწინა შესაძლებლობის ფარგლებში საკრებულოს შენიშვნების სახით დასმული საკითხები.

მუნიციპალიტეტის მერია აგრძელებს მუშაობას 2026 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, თქვენგან დასმული საკითხების შესაძლო გადაწყვეტის და პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტების მიზნით, მერიის მიერ ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ფინანსთა სამინისტროსთან ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ. ასევე შესაბამისად სამინისტროსთანწარსადგენად დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო თანხების მოპოვების მიზნით მზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია, რაზედაც საქართველოს ორგანული ჯანონის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 91-ე მუხლის მე-6 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი იქნება ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 91-ე მუხლის მე-6 პუნქტის და საქართველოს კანონის „ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია დამატებით წარმოგიდგენთ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტს, სადაც განხორციელდა ცვლილებები ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტში, კერძოდ, შემცირდა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა 50,0 ათ. ლარით და წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია 40,0 ათ.ლარით და შესაბამისად გაიზარდა მუნიციპალური ტრანპორტის სუბსიდირება 90, 0 ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი პროექტის მიხედვით განისაზღვრა 17361,54 ათ.ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.**

საკითხი 2

„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან კოპალიანმა. 2025 წლის ბიუჯეტში მეცხრე ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე ისაუბრეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა ჭაბუკი ჭაბუკიანმა და მერის მოსდგილის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა ლეთოდიანმა.

განმარტებითი ბარათი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის #22 დადგენილებით და განისაზღვრა 13469,2ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მეცხრე ცვლილების საფუძველია ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 25 დეკემბრის #ბ80.80253607 ბრძანება, რომლის შესაბამისად ბიუჯეტში აისახა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის #2210 განკარგულება. (განკარგულება 1955 ცვლილება) განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხაარაუმეტეს 5600571 (ხუთიმილიონ ექვსასიათასხუთასსამოცდათერთმეტი) ლარისა, აღნიშნული ცვლილებით ხდება მუნიციპალიტეტისათვის თავდაპირველად გამოყოფილი თანხის დაზუსტება, კერძოდ, ხუთი პროექტი დაყვანილი იქნა სახელშეკრულებო ღირებულებაზე, კერძოდ, სოფ.ქვ.ცაგერში ე.წ. „კულაშის“ უბანში და ჩაკვეტაძეების ქუჩის შესახვევში გზის რეაბილიტაცია, სოფელ ლასურიაშის გზის რეაბილიტაციის II ეტაპი, ქ,ცაგერის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია, ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლების მახაში-სანორჩის გზის რეაბილიტაცია და სოფელ ალპანის ცენტრალური გზიდან „შხუდალის“ სალოცავის მიმართულებით გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა .

სულ განკარგულებთ შემცირდა კეთილმოწყობის ღონისძიებები(ორგ.კოდი 02 05) -571097ლარით, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგ.კოდი 02 01) - 37563 ლარით და გაიზარდა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება(ორგ.კოდი 02 01) - 608660 ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეადგენს 26136,0 ათ.ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 3

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა ჭაბუკი ჭაბუკიანმა ისაუბრა საკითხის შესახებ და აღნიშნა, რომ ხანდაზმულთა ერჯერადი დახმარების თანხა განისაზღვრება 90 წლიდან- 95 წლამდე 250 ლარის ოდენობით, 95-დან 100-წლამდე 300 ლარი, 100 წლიდან ზევით 500 ლარის ოდენობით.

საწოლ-მიჯაჭვულ მძიმე ავადმყოფთა დამხმარე საშუალებებით (ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბი და ჟანგბადის აპარატი, სარეაბილიტაციო რობოტული ხელთათმანი-ხელის მასაჟორი, ყავარჯნები, თვითგადაადგილების საშუალება, ეტლი-სავარძელი სუდნოს ფუნქციით და ა.შ) გადაცემის სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც მინიჭებული აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

ზამთრის თბობისთვის შეშის შესაძენად გაიცემა ერჯერადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შემდეგ პირზე/ოჯახზე.

მარტოხელა პენსიონერზე, რომელსაც არ ჰყავს ოჯახის წევრები და სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ოჯახის მონაცემტა ერთიან ბაზაში არ აღემატება 65000-ს.

მნიშვნელოვნად და მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე მარტოხელაზე, ან შშმ სტატუსის მქონე იმ პირებზე, რომელთაც ჰყავთ ოჯახის წევრები მაგრამ, არიან შრომისუუნარონი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“.**

საკითხი 4

ცაგერის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა ჭაბუკი ჭაბუკიანმა განმარტა, რომ “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონმა სახელმწიფოს მთელი რიგი ვალდებულებები დააკისრა მუნიციპალიტეტების როლისა და ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით, რათა სხვადასხვა მიზნობრივი პროექტებით ხელი შეეწყოს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და ინკლუზიური გარემოს შექმნას. აღნიშნული კანონის მე-20 და 35-ე მუხლებით განსაზღვრულია პერსონალური ასისტენტის სერვისის დანერგვის საკითხი და დელეგირების ვალდებულება ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებზე.

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვეციის“ პრინციპების შესაბამისად, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის N01-13/5 ბრძანების საფუძველზე მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის პროგრამას ახორციელებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და დელეგირებისთვის განკუთვნილი მიზნობრიბი ტრანსფერის მოცულობით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება- ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“.**

საკითხი 5

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკრებულოს აპარატის უფროსმა თამთა ონიანმა განმარტა, რომ დადგენილების მიღება განაპირობა საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებულმა ცვლილებებმა, აქედან გამომდინარე ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №16 დადგენილებაში უნდა შევიდეს ცვლილება და დადგენილება შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს ორგანულ კანონთან ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება - **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 6

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გუგავამ განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილების მიღება განპირობებულია - ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯის ზრდასთან დაკავშირებით.
აქედან გამომდინარე „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის N5 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და ხარჯი გაიზარდოს 1084 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება - **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 7

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გუგავამ განმარტა, რომ „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანანმდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 2 აგვისტოს N 27 დადგენილება მოვიდეს „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივი სარგოს ოდენობასთან შესაბამისობაში.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება - **„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 8

„ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის № 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **„ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის № 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ მირზა ქომეთიანმა განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილება ეფუძნება „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის რეგულაციას, რომლითაც განსაზღვრულია საჯარო სამსახურში 10%-იანი სახელფასო მატება.

გამომდინარე აღნიშნულიდან 10%-იან მატებას ექვემდებარება ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეები, საჯარო მოსამსახურეები და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება - **„ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის № 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 9

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ“.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტებთან დაკავშირებით ისაუბრა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა ლეთოდიანმა, აღნიშნა რომ 2026-2029 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალოვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები. ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ცაგერის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ცაგერის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

2025 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2026 – 2029 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;
- ინფრასტრუქტურა;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
  ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება - ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ“.**

საკითხი 10

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“.**

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ მირზა ქომეთიანმა განმარტა: საჯარო დაწესებულებაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნება განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად. ამ შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონითა და საქართელოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის 25-ე მუხლის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში თანხმდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და შეთანხმებას საჭიროებს იმ შემთხვევაში თუ დასაქმებული პიროვნებები 30 დღეზე მეტი ვადით არიან დასაქმებული.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში ამჟამად შრომითი ხელშეკრულებით დასქმებულია 34 პიროვნება, რომლებიც გასულ წელს მთელი წლის განმავლობაში იყვნენ დასაქმებული და მუნიციპალიტეტის ფუნქციების შესრულებისათვის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ამიტომ შემოვდივართ წინადადებით, რომ აღნიშნული კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებულ იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი და ცაგერის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დაშვებული ზღვრული ოდენობის გარდა განისაზღვროს არაუმეტეს 29 ერთეულისა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება - **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.**

საკითხი 11

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“.**

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოფიო გვიშიანმა განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მომზადება განპირობებულია ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა საპროექტო წინადადება, რომლის განხორციელება იგეგმება 2026 წლისთვის. განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას. განკარგულების პროექტის მიღებით ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტულად მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობა ითვალისწინებს საირმის ბუნებრივი სვეტების, სოფელ ალპანაში „ორპირის კლდეკარის“ და მდ. ცხენისწყალის „სარეწკელას ხეობაში“ ბუნებრივი ძეგლების განათების მოწყობას, სადაც შთამბეჭდავი გახდება ბუნებრივი ძეგლები, მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის იერსახე.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება - **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.**

საკითხი 12

ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის საფასურის გადასახადისაგან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ,,**ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის საფასურის გადასახადისაგან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ“.**

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოფიო გვიშიანმა განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობა გათავისუფლებულია ყოველ გამრიცხველიანებელ აბონენტზე 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადახდისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მერია, ითვალისწინებს არსებულ გარემოებას და საკრებულოს წინაშე შემოდის წინადადებით ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე ყოველთვიურად 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება - ,,**ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის საფასურის გადასახადისაგან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ“.**

საკითხი 13

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ შექმნის ცნობად მიღების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ შექმნის ცნობად მიღების შესახებ“.**

სამანდატო - საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ელენე საღინაძემ განმარტა, რომ სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას 2025 წლის 12 დეკემბერს განცხადებით მიმართა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა გოგიტა ახვლედიანმა ფრაქციის შექმნის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული საკითხი აცნობოს საკრებულოს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო განკარგულება - **ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ შექმნის ცნობად მიღების შესახებ.**

საკითხი 14

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე მდებარე ერთი ოთახის - საერთო ფართი 30.00 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით - უსასყიდლო „უზუფრუქტი“ ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ „შშმ პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრისთვის” (ს/ნ 44495993) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე მდებარე ერთი ოთახის - საერთო ფართი 30.00 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით - უსასყიდლო „უზუფრუქტი“ ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ „შშმ პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრისთვის” (ს/ნ 44495993) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ა(ა)იპ „შშმ პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრი“-ს (ს/კ444959993) განცხადება, რომლითაც სთხოვენ ფართის გადაცემას უსასყიდლოდ, რათა განახორციელონ „საკვირაო სკოლის“ ფუნქციონირება და „სოციალური რეაბილიტაციის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ბენეფიციარებისათის.
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან ს/კ 89.03.22.002 (საკრებულოს შენობის პირველ სართულზე) 30.00კვ.მ გადაეცეს ზემოხსენებულ ა(ა)იპ-ს 2(ორი) წლის ვადით (უსასყიდლო უზურფუქტი) სარგებლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება - **ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე მდებარე ერთი ოთახის - საერთო ფართი 30.00 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით - უსასყიდლო „უზუფრუქტი“ ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ „შშმ პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრისთვის” (ს/ნ 44495993) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.**

საკითხი 15

ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ „ხვამლის” გაწეული საქმიანობის შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „**ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ „ხვამლის” გაწეული საქმიანობის შესახებ“.**

მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გიორგი კვირიკაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ ,,ხვამლის'' გაწეული საქმიანობის შესახებ;

საკრებულოს წევრები დაინტერესდნენ რა მიღწევები აქვს ცაგერის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ ,,ხვამლს". მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გოგი კვირიკაშვილმა დეტალურად ისაუბრა ფეხბურთის კლუბ ,,ხვამლის" მიღწევებსა და წარმატებებზე:

- კლუბის 2014 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის ღია პირველობაზე მერაბ მეგრელაძის სახელობის თასის გათამაშებაში და 12 გუნდს შორის დაიკავა მე-5 ადგილი.
- კლუბის 2015 წელს დაბადებულთა გუნდი გამოდიოდა იმერეთის ღია პირველობაზე ჯემალ ხერხაძის თასის გათამაშებაში და 10 მონაწილე გუნდს შორის დაიკავა მე-6 ადგილი.
- ცაგერის „ხვამლის" ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ეაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონულ პირველობაზე ლევან კენჭაძისა და არჩილ ჩაგელიშვილის თასზე და ამბროლაურის, ონის, ლენტეხის და ტყიბულის გუნდებთან პაექრობაში მოიპოვა II(მეორე) საპრიზო ადგილი.
- საფეხბურთო კლუბი მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად აქტიურად საქმიანობს მუნიციპალიტეტში ფეხბურთის მასობრიობის მიღწევისათვის. აქტიურად არის ჩართული მოყვარულთა ლიგის (IIXIIფეხბურთი) და მასტერლიგის (7X7 ფეხბურთის) პროექტებში. მუნიციპალიტეტს გვყავს მოყვარულთა ლიგის 4 და მასტერლიგის 6-გუნდი, რითაც ვართ მოწინავე პოზიციაზე ჩვენს მხარეში.
- ცაგერში ჩატარდა მინი ფეხბურთის ჩემპიონატი (5X5), სადაც მონაწილეობა მიიღო 1.ცაგერის და მუნიციპალიტეტის სოფლების 11 გუნდმა. მუნიციპალიტეტის ჩემპიონმა მიუხედავად გაწეული გარკვეული მუშაობისა ა(ა)იპ ფეხბურთის კლუბის საქმიანობა ხასიათდება გარკვეული პრობლემებით და ხარვეზებით.
- კლუბი განიცდის კვალიფიციური მწვრთნელ სპეციალისტების დეფიციტს, ხარვეზებია მატერიალურ ტექნიკური ბაზის მხრივ.
- მომავალში საქმიანობის უჯეთ წარმართვის მიზნით მემორანდუმის საფუძველზე იგეგმება კლუბის ბაზაზე დინამოს აკადემიის ფილიალის გახსნა.
- დინამო ვალდებულებას კისრულობს უზრუნველყოს სპორტული ეკიპირება (სავარჯიშო ეკიპირება). ფეხბურთელების ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი, მწვრთნელთა განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება, წარჩინებული ფეხბურთელების დაწინაურება დინამოს აკადემიაში.
- სხვადასხვა ტურნირების და ჩემპიონატების ორგანიზება, დინამოს სავარჯიშო მეთოდოლოგიის დამკვიდრება. მწვრთნელთა მატერიალური წახალისების ღონისძიებების გატარება, სელექცია და სხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება - ,,**ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ ,,ხვამლის'' გაწეული საქმიანობის შესახებ".**

საკითხი 16

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება - **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

საკრებულოს თავმჯდომარე: ვასილ საღინაძე